



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
მდივნის
განკარგულება №02-318/2017

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის „საქართველოს ახალგაზრდა ინტელექტუალთა გაერთიანება - ლაზარე“ დამკვირვებლის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ

ქ. თბილისი

2017 წელი 18 ოქტომბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-7 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 78-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ვადგენ:

მუხლი 1. უარი ეთქვას დამკვირვებლად რეგისტრაციაზე ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის „საქართველოს ახალგაზრდა ინტელექტუალთა გაერთიანება - ლაზარე“ წარმომადგენელს - ბაკური ლაშქარავას, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-40 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან არ ახლავს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ფოტოასლი.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი